ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9726131001
თარიღი:11/05/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-08

დ. ლენტეხი. 8 მაისი 2026წ.

მიმდინარე წლის 8 მაისს დღის 10 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 8(რვა) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა დაინიშნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 15/04/2026 წლის N-96-96251621 წინადადების და საკრებულოს თავმჯდომარის 07/05/2026 წლის N-97-97261272 ბრძანების საფუძველზე. მან სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ დემური ლიპარტელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - **2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.**

მან ვრცლად ილაპარაკა საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ მერის ბრძანებით შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი და ერთდროულად სამ სოფელში პარალელურ რეჟიმში ტარდებოდა

მოსახლეობასთან შეხვედრები. სამუშაო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული საკრებულოს წევრებიც და რწმუნებულებიც.

სართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენდა არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნა დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართა ამომრჩევლებთან კონსულტაციები განსაზღვრულ თარიღებში.

ლენტეხის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დავალებული ჰქონდათ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება.

თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვრა №1 დანართის მიხედვით. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2026 წლის 31 მარტიდან 17 აპრილის ჩათვლით.

მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ყველა სოფელში შეირჩა პროექტი და შესაბამისი ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 11 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი